MES 5 21 0000383805

21/04/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.04.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:22სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირაკლი კორძაია		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ.შ	I
2.	გოჩა ჩავლეშილი		ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის	I

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
3.	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	თეიმურაზ ქიქავა		პროფესორი, „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	კახა შენგელია	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი	II
6	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	II
7	ეკა აკობია		სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	სერგი კაპანაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	დიანა მჭედლიშვილი		არისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	II
10	შორენა საძაგლიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
11	ირმა კირთაძე		ასისტენტ-პროფესორი	III
12	მამუკა ნადარეიშვილი		პროფესორი	III
13	მაკა ლაშხია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	III
14	ზვიად ზალკანიანი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,	III, IV
15	ნინო ჟვანია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		III, IV

			ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის უფროსი	
16	ივანე აბიათარი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17	იაგორ კალანდაძე		პროფესორი	IV
18	ქეთევან ლაკირბაია		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	IV
19	ნინო დობორჯგნიძე		პროფესორი	IV
20	ეკატერინე გაფრინდაშვილი		ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურის უფროსი	IV

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მამუკა ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნია გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ივანნა მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ნიკა ჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა;
3. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა ექსპერტის მოთხოვნის საფუძველზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა;
3. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1.პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.03.2012 გადაწყვეტილება №41
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	ფიროსმანის ქ. 12, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს- გაიოზ ფარცხალაძემ
ანზორ იმნაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №1212383 (18.12.2020) 2020 წლის 28 დეკემბერს განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახემწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა"-ს საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით და მოიცვა 2020 წლის 28 დეკემბრის 10.00 -:- 18.00 პერიოდი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. პროგრამის შეფასებისას, აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის მე-10 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.

2. არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ უცხო ენას აბარებს სტუდენტი და არც ამ ენის ცოდნის დონეა მითითებული. რეკომენდებულია ეს ყოველივე აღნიშნულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში;

3. აუცილებელია გასწორდეს აღწერით ნაწილში მითითებული ხარვეზი, ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან მიმართებით;

4. გასწორდეს პროგრამაში არსებული ხარვეზი და სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაში მიეთითოს, რომ ნაშრომის დაცვისთვის სავალდებულოა ყველა სასწავლო კომპონენტის (90 კრედიტის) გავლა.

5. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ინგლისური ენა B2.1 და ინგლისური ენა B2.2 სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასების მეთოდები და მათი გასაზომი შეფასების კრიტერიუმები, ასევე რეკომენდირებულია საზოგადოებასთან ურთიერთობების სასწავლო კურსში დეტალურად გაიწეროს დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა. ასევე გასწორდეს შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზები შემდეგ სასწავლო კურსებში: საშენი მასალების სპეცკურსი, ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა, სეისმომედეგობა, შრომის უსაფრთხოება;

7. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც თავიანთი სწავლის შედეგებით გადიან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, სტუდენტის შეფასებამ მოიცვას აღნიშნული უნარების შეფასებაც;

8. რეკომენდებულია *უსდ*-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;

9. მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა,რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება.

10. რეკომენდებულია *უსდ*-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რუბრიკა და მოხდეს ქულების *რანჟირება*;

11. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროექტებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება;

12. რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

13. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში მითითებულ იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.

14. რეკომენდებულია, *უსდ*-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატურად აწვდიდეს ინფორმაციას სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგების შესახებ.

15. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური და ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ სწავლის მე-10 შედეგი ასეთი სახისაა: "სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს". დაწესებულების აზრით სწავლის მე-10 შედეგს მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, არ უნდა დასჭირდეს, რადგან ის მიღწევადია და რეალისტურიც ისეთი სასწავლო კურსების გამოყენებით, როგორიცაა სამაგისტრო ნაშრომი, კვლევის მეთოდები და ხერხები, საინჟინრო ექსპერიმენტის ორგანიზაცია და დაგეგმვა. ამ უკანასკნელში განხილულია მათემატიკური მოდელირების საკითხები (სახელმძღვანელო პროფ. ირაკლი ზედგინიძის და სხვ). მათი გამოყენებით შეისწავლება საშენი მასალების, ნაკეთობების და კონსტრუქციების ექსპერიმენტული გამოკვლევა, ასევე ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა. რაც შეეხება თეორიულ კვლევებს, მისთვის გამოიყენება ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა სამშენებლო მექანიკის სპეცკურსი, სეისმომედეგობა, დაპროექტების ავტომატიზებული სისტემები (LIRA), რომელთა საფუძველზეც შეიძლება ჩატარდეს თეორიული კვლევები რკინაბეტონისა და ლითონის ნაგებობებისა და სპეციალურ კონსტრუქციებში. მაგ. წინასწარ დაძაბული კონსტრუქციები, მასალების მდგრადობა დრეკად-პლასტიკურ ზონებში, დრეკად ფუძეზე მდებარე საძირკვლების მუშაობის კვლევა და სხვ. იგივე წარმატებით შეიძლება ჩატარდეს კვლევები მშენებლობის პროცესებში, ტექნოლოგიაში და ორგანიზაციაში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, *ბსუ*-ს აკადემიური საბჭოს №59 დადგენილებით ჩარიცხვის მსურველი *მაგისტრანტობის* კანდიდატს უცხო ენაში (ინგლისური ენა, გერმანული ენა) *მოითხოვება* B1 დონე. ეს საუნივერსიტეტო მიდგომაა და ამის შესახებ ინფორმაციას *ბსუ* აწვდის აბიტურიენტს ელექტრონულად, სტუდენტის გზამკვლევში, ასევე ზეპირსიტყვიერად საინფორმაციო შეხვედრებზე. სამაგისტრო პროგრამების კატალოგში პროგრამის აღწერაში მითითებულია საკონტაქტო პირი, რომლისგანაც ხდება ინფორმაციის მიწოდება.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტი შემოდის მაგისტრატურაში B.1 დონით. ეს დონე მინიმალურია ჩარიცხვისათვის და მას სწავლის პერიოდში შეუძლია აირჩიოს ინგლისური ენა B2.1 დონე, ხოლო თუკი სტუდენტი შემოვა მაგისტრატურაში უფრო მაღალი ინგლისური ენის მაგ. B2.1 დონის ცოდნით მაშინ მას სწავლის პერიოდში შეეძლება B2.2-ის დონის არჩევა. ერთი სტუდენტისათვის ორივე დონე B2.1 და B2.2 მაგისტრატურაში არ ისწავლება, რასაც არეგულირებს სასწავლო კურსის წინაპირობაც.

აღსანიშნავია ასევე მე-4 რეკომენდაციას, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაშვების წინაპირობად მითითებულია ყველა სასწავლო კურსი, ხოლო პროგრამაში ეს ჩანაწერი ვერ გაკეთდა იმ მიზეზით, რომ *ბსუ*-ს აკადემიური საბჭოს 111-ე დადგენილებით: მე-4 სემესტრის მაგისტრანტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, უფლებამოსილია მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს იგი კვლევით კომპონენტთან (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) ერთად იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ამასთან, ამ იურიდიული რეგულაციით პორტალის ელექტრონული სისტემა ავტომატურად დაბლოკავდა დავალიანებულ სტუდენტს, თუ ჩაწერილი იქნებოდა წინაპირობად "ყველა საგანი" და ეს რომ არ მომხდარიყო, ჩაწერილი იქნა პროგრამაში წინაპირობა "არა აქვს". ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტს ელექტრონულად, სტუდენტის გზამკვლევში, ასევე ზეპირსიტყვიერად საინფორმაციო შეხვედრებზე.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობა, რომელიც უყალიბებს სტუდენტს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარს. ყოველ სილაბუსში, რომელშიც არის პროექტი აქვს შედეგების შეფასების მექანიზმები. მოწმდება პროექტის,

როგორც გაანგარიშების პროცესი, ისე ნახაზების აგების ხარისხი, რითაც ხდება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის (უსაფრთხოების, ეკონომიურობის, საიმედოობის, ეკოლოგიური, რისკების პირობების) შეფასება.
მე-7 რეკომენდაციასთან მიმართებით განიმარტა, რომ გასწორდება ინგლისური ენის B2.1, ინგლისური ენის B2.2, საზოგადოებასთან ურთიერთობების, საშენი მასალების სპეცკურსის, ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდის, სეისმომედეგობის, შრომის უსაფრთხოების სილაბუსში ტექნიკური ხარვეზი, სადაც შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოყვანილი იქნება ერთმანეთთან შესაბამისობაში.
რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობა, რომელიც უყალიბებს სტუდენტს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარს. ყოველ სილაბუსს, რომელშიც არის პროექტი აქვს შედეგების შეფასების მექანიზმები. მოწმდება პროექტის, როგორც გაანგარიშების პროცესი, ისე ნახაზების აგების ხარისხი, რითაც ხდება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის (უსაფრთხოების, ეკონომიურობის, საიმედოობის, ეკოლოგიური, რისკების პირობების) შეფასება.
მნიშვნელოვანია ასევე მე-9 რეკომენდაციას, კერძოდ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი აკადემიური პირები, ეს დასტურდება პროგრამის არსებობის დიდი ხნის ტრადიციებით, ასევე მათ გააჩნიათ Scopus-*სა* და Claritive Analytics-ის მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო, *იმპაქტფაქ ტორიან* ჟურნალებში პუბლიკაციები, რაც უმაღლეს სტანდარტად ითვლება. იმ უმნიშვნელო ტექნიკურ შეცდომებს (რუბრიკაში შეფასების ქულის დაწერა) აქვს უფრო ფორმალური ხასიათი და არა შინაარსობრივი. ეს უზუსტობები იქნება გასწორებული. შეფასების თანამედროვე სისტემებზე პროფესორებს გავლილი აქვთ შესაბამისი უნარების განმავითარებელი ტრენინგები და სისტემა მთლიანად მოყვანილია საუნივერსიტეტო ერთიან მიდგომებზე. შესაძლებელია კიდევ იქნას ჩატარებული ასეთი ტრენინგები, ოღონდ უნივერსიტეტს მაინც ექნება ერთიანი მიდგომა მართვისა და ელექტრონული პორტალის მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე.
მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ *გსუ*-ს აკადემიური საბჭოს 111-ე დადგენილებით სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა, შესაბამისად დასკვნითი გამოცდის ქულების რაოდენობა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 60 და მინიმუმ 40 ქულა. ეს, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, აძლევს პროგრამის პერსონალს აკადემიურ თავისუფლებას.
რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ *გსუ*-ს აკადემიური საბჭოს 111-ე დადგენილებით: (თავი IV, მუხლი 16) სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით: ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; *ბ*) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; *გ*) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; *დ*) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; *ვ*) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; *ზ*) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თითოეული შემფასებელი ზემოთმოყვანილი კრიტერიუმებით აფასებს სამაგისტრო ნაშრომის შემდეგ კომპონენტებს: კვლევის/პრობლემის აქტუალობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარი. ამ კომპონენტების შეფასების საშუალებით ფასდება მთლიანი სამაგისტრო ნაშრომი.

მე-12 რეკომენდაციასთან მიმართებით აღინიშნა, რომ *ბსუ*-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და საერთაშორისო თანამშრომლობა. ტექნოლოგიურ ფაკულტეტს აქვს საკმაოდ მაღალი მიღწევები საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებაში. ზემოხსენებულ მიღწეულ შედეგებში იგულისხმება სტუდენტთა და პროფესორთა ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (Tempus, Erasmus Mundus, Erasmus+, უმაღლესი განათლების ხელშეწყობის და სხვ), სამოქალაქო მშენებლობის პროგრამის ABET-ის საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესში ჩართულობა, სან დიეგოს სახელმწიფო და ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტებთან პარტნიორობა. მიმდინარე სემესტრში ბაკალავრიატის ორი სტუდენტი გაემგზავრა ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ექვსი თვით. მაგისტრების პასიურობა ამ პროგრამაში მონაწილეობის თვალსაზრისით განპირობებული უნდა იყვეს მათი დასაქმების ფაქტორით, კერძოდ ყველა მათგანი მუშაობს სამშენებლო პროფილის მიხედვით საპასუხისმგებლო, მაღალანაზღაურებად პოზიციებზე და 6 თვით სამსახურის დატოვების შემთხვევაში, არსებობს მისი დაკარგვის საფრთხე.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, მაგისტრებისათვის საჭირო ლიტერატურა, ისეთი როგორიცაა ქართული ან უცხოური გაწერილია სილაბუსებში და განთავსებულია ბიბლიოთეკაში, როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით. ციტირება სტუდენტებს აქვთ ჩატარებული გამოყენებულ ლიტერატურაზე, პროექტის მომზადების დროს სტატიების გამოყენება არ ხდება (ხდება მონოგრაფიების გამოყენება), რადგან ასრულებენ რეალური სახის ნაშრომს/პროექტს. გამოიყენება სამშენებლო წესები, წესების სახელმძღვანელო და დაპროექტების ინსტრუქციები.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია *ბსუ*-ში არსებული ერთიანი მიდგომებით და მისი დეტალიზაცია ხელს შეუშლის სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობების ობიექტურად შეფასებას, რადგან საჭიროა განსხვავებული მიდგომები რადიკალურად განსხვავებულ სტრუქტურებზე, მაგ.: ერთი და *მრავალმალიანი* სამრეწველო შენობები, მრავალსართულიანი, ამაღლებული სართულიანების და მაღლივი შენობები, *დიდმალიანი* ჩარჩოები, რეზერვუარები, ბუნკერები, სილოსები, თაღები, კამარები, კიდული სისტემები, გარსები და სხვ. განსხვავებულია მათი, როგორც მოცულობა, ისე სიღრმის ხარისხი.

მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას გამოყენებულია, როგორც *სტუ*-ს სამშენებლო კონსტრუქციების დეპარტამენტის გამოცდილება, ისე საერთაშორისო გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვლევის მიხედვით გამოიკითხა 8 ორგანიზაცია და განმარტა, რომ აჭარის რეგიონისთვის 8 სამშენებლო ორგანიზაციის გამოკითხვა არ არის რეპრეზენტაბელური. უმჯობესი იქნებოდა, გამოკითხვაში ჩართული ყოფილიყო ორგანიზაციების უფრო დიდი რაოდენობა. რაც შეეხება ბიუჯეტის ნაწილს, აღნიშნული არის არის დეტალური და შეუძლებელია იმის გაგება თუ რაზე იხარჯება თანხა და არის თუ არა დაფინანსებული მაგისტრანტების კვლევა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ინგლისურ ენასთან დაკავშირებით არის საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია ექსპერტების მხრიდან და ეს გასაგებიცაა. საუნივერსიტეტო მიდგომის შესაბამისად, სტუდენტი მაგისტრატურაზე უნდა ჩაირიცხოს B1 დონის ინგლისურის ცოდნით, თუმცა ამავდროულად, ინგლისური ენა პროგრამაში არის არჩევითი კომპონენტი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა კრედიტის ფარგლებში ინგლისურის მაგივრად სხვა სასწავლო კურსები აირჩია, რამდენად არის B1 დონე მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი, რათა

დაეხმაროს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კითხვას ბადებს ინგლისურის სილაბუსებში სტუდენტის შეფასების სისტემა, კერძოდ, შეფასების რუბრიკები და *ქულობრივი* გადანაწილება. განსაკუთრებით, დასკვნითი გამოცდა, რომელსაც მინიჭებული აქვს 40 ქულა. გამოცდაში რამდენიმე კომპონენტია მოცემული, თუმცა არ არის განსაზღვრული ქულების გრადაცია. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, სილაბუსების მიხედვით ერთი თემა (unit) ისწავლება 4 კვირის განმავლობაში, და ჯამში სულ 3 თემა ისწავლება, გარდა ამისა, არ არის გაწერილი აქტივობები.

საბჭოს წევრი ასევე შეეხო სამაგისტრო ნაშრომებს და აღნიშნა, რომ ნაშრომის შეფასების ოთხი კომპონენტი არ არის მოცემული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და არც *ქულობრივი* გადანა წილებაა ასახული.

საბჭოს წევრმა, ელენე *ჟურავლოვამ* მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და მოუწოდა განემარტათ თუ რა მასშტაბით იყოს სამაგისტრო ნაშრომებში ციტირება, რადგან აღნიშნული განსაზღვრული იყოს რეკომენდაციებში. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომები შესრულებული იყო უნივერსიტეტის თუ პარტნიორების ბაზაზე.

საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ ისაუბრა საპროექტო დავალებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სილაბუსის მიხედვით, სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამრეწველო ან სამოქალაქო ნაგებობის პროექტი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა არსებობს თუ არა ჩამონათვალი რა ტიპის ობიექტები უნდა იყოს დაპროექტებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტები დამოუკიდებლად აკეთებენ პროექტს, თუ უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ პროექტს ცვლიან შესაბამისი დავალების მიხედვით. ცხადია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შედგები არის პროექტის გაკეთება. თუმცა აუცილებელია არსებობდეს რაიმე მეთოდური მითითება თუ როგორ უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომის სტუდენტმა. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ მოწმდება ნაშრომების საპროექტო ნაწილი პლაგიატის სისტემაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საფეხურისგან განსხვავებით, მაგისტრატურაზე ყურადღება ექცევა კვლევასა და კვლევით უნარებს. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა საკმაოდ დიდი რაოდენობის სასწავლო კურსების სწავლების ფარგლებში რჩებათ თუ არა სტუდენტებს დრო კვლევისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტს აქვს დეტალური ინფორმაცია თუ რომელ კომპონენტში როგორ ფასდებიან. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, აღნიშნული არის საკმაოდ მკაფიო და კონკრეტული, რადგან საინჟინრო საქმიანობა არის ტექნოლოგიური პროცესი.

რაც შეეხება შეფასების საკითხს, მნიშვნელოვანია პროგრამაში შუალედური და ფინალური გამოცდის გარდა სხვა კომპონენტებიც იყოს მოცემულია და ასევე განსხვავება არსებობდეს სხვადასხვა სილაბუსების შეფასების კომპონენტებს შორის.

მნიშვნელოვანია ასევე ავტონომიურობის შეფასების ნაწილი, კერძოდ არის გარკვეული კომპეტენციები, მაგალითად როგორც ტრანსფერული უნარები რომელიც უნდა იყოს *თვითშეფა სებადი*. უმთავრესია თუ თავად დაწესებულება როგორც ზომას აღნიშნულ საკითხებს. არის ასევე გარკვეული საკითხები, რომლებიც ექსპერტთა აზრით მოითხოვს დაზუსტებას. რაც შეეხება რუბრიკებს, აუცილებელია, რომ აღნიშნული იყოს მკაფიოდ განსაზღვრული სტუდენტებისთვის.

რაც შეეხება თანახელმძღვანელის საკითხს, მოცემული დარგის მოიცავს საკმაოდ ბევრ მომიჯნავე საკითხს, შესაბამისად მისი დარეგულირება უმჯობესი იქნებოდა თანახელმძღვანელთან ერთად. გარდა ამისა აღნიშნულს ითხოვს აკრედიტაციის სტანდარტი, ხოლო დაწესებულების დებულებაში აღნიშნული არ იყო გათვალისწინებული.

პლაგიატის კუთხით ნახაზების შემოწმება რომლებზეც სტუდენტები მუშაობენ არის საკმაოდ რთული. შესაბამისა, მნიშვნელოვანია მოცემულ საკითხს მეტი ყურადღება მიექცეს. რაც შეეხება შესრულებულ ნაშრომებს, მოცემული იყო ყველანაირი პროექტები. ის ორგანიზაციები,

რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი მაქსიმალურად არიან ჩართულები როგორც სასწავლო კურსების შემუშავებაში, ასევე განხორციელებაშიც.
რაც შეეხება ციტირების სტილს, სამაგისტრო პროგრამაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა, თუმცა მაგისტრანტებთან ინტერვიუების დრო დადგინდა, რომ მათ არ იცოდნენ თუ რა წესი მოეთხოვებოდათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემული საკითხი დებულებაშიც არ იყო მოწესრიგებული, შესაბამისად, მნიშვნელოვანია საკითხი იყოს უფრო დეტალურად გაწერილი ვიდრე ამ ეტაპზე აქვს უნივერსიტეტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია ახორციელებს ისეთ პროგრამებს, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას და არის აუცილებელი ქვეყნის განვითარებისთვის. შესაბამისად აქცენტი კეთდება ცენტრალიზებულ ბიუჯეტზე, რომლის ფარგლებშიც ხდება როგორც სამაგისტრო ასევე სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მხარდაჭერა. უნივერსიტეტის მიდგომა არის იმგვარი, რომ მოხდება ყველა პროგრამის სტუდენტებისთვის კეთილდღეობის გამოყოფა. [LO2] შესაბამისად, ცალკე პროგრამის ბიუჯეტებში არ არის გამოყოფილი თუ რა თანხით ფინანსდებიან აკადემიური პირები, რა თანხა არის გამოყოფილი მათი მომზადებისა და გადამზადებისთვის, გრანტებისთვის.
რაც შეეხება საკითხს ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით, გარდა ინგლისური ფილოლოგიისა, დაწესებულების მიდგომიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისურის B1 დონე. თუმცა არის პროგრამები, სადაც სხვადასხვა ენებით შეიძლება ჩაირიცხოს სტუდენტი. თუ რა საგნები იქნება შეთავაზებული არჩევით ბლოკში თავად განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გადასაწყვეტია. მოცემულ პროგრამაში ინგლისური ენა B2.1 და B2.2 წარმოადგენს არჩევით სასწავლო კურსს., რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს პროგრამის ფარგლებში შეუძლია გავიდეს კონკრეტულ შედეგებზე. სტუდენტი სასწავლო კურსზე ნაწილდება შიდა გამოცდის შედეგების მიხედვით.
მნიშვნელოვანია ასევე პლაგიატის საკითხი, კერძოდ დაწესებულება უკვე სამი წელია რაც ჩართულია აღნიშნულ პროექტში, რომელიც უკვე დასრულდა, თუმცა უნივერსიტეტმა პროექტის დასრულებასთან ერთად არ შეწყვიტა მოცემული პროგრამის გამოყენება. დაწესებულებას შეძენილი აქვს ლიცენზიები და უკვე დამოუკიდებლად ახორციელებს პლაგიატის პროგრამას. შესაბამისად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია თუ როგორ ხდება ნაშრომის ატვირთვა და რომელ კვირაში უნდა განხორციელდეს აღნიშნული შემოწმება. ნაშრომის ატვირთვის შემდგე, ხელმძღვანელი აკეთებს დასკვნას და რომელიც ეგზავნება რეცენზენტს. საბოლოოს კი კომისიის წინაშე ერთჯერადი შეფასების გზით ხდება ნაშრომის შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღოს სწორედ იმ კომპანიებმა, რომლებმაც გამოთქვეს მონაწილეობის სურვილი. დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სწორედ ნებაყოფლობითობაზე დაფუძნებული კვლევა და გამოკითხვა. მოცემულ სპეციალობაზე მოთხოვნა არის საკმაოდ დიდი, რადგან რეგიონში მუდმივად მიმდინარეობს სამშენებლო პროცესი. პროგრამის წარჩინებული სტუდენტები მუდმივად საქმდებიან. ორგანიზაციები თავად მიმართავენ დაწესებულებას კადრების მოთხოვნის მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამაგისტრო თემას ირჩევს თითოეული სტუდენტი ინდივიდუალურად. ამ დროისთვის შერჩეულია 32 თემა. სტუდენტებს აქვთ საშუალება, რკინა-ბეტონის და შერეული კარკასის მიმართულებით აირჩიონ თემატიკები. თემები არის ინდივიდუალური და შესაბამისად, გამორიცხულია განმეორება ან დამთხვევა. პროგრამაში გათვალისწინებულია ასევე კვლევითი ნაწილი.

საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ დააზუსტა, რომ სილაბუსის მიხედვით, სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამრეწველო ან სამოქალაქო ნაგებობის პროექტი. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა არსებობს თუ არა ჩამონათვალი რა ტიპის ობიექტები უნდა იყოს დაპროექტებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტები დამოუკიდებლად აკეთებენ პროექტს, თუ უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ პროექტს ცვლიან შესაბამისი დავალების მიხედვით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები თავად ირჩევენ პროექტებს, მათ ასევე ჰყავთ კონსულტანტები. სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს თემატიკა იქნება სამოქალაქო თუ სამრეწველო ნაგებობა. სტუდენტი თავად ქმნის არქიტექტურულ პროექტს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა გაწერილი არის თუ არა კონსულტანტის ფუნქციები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს ერთი ხელმძღვანელი. თუმცა მოცემულების მიხედვით თითოეულ ნაწილს ჰყავს კონსულტანტი, რომლის შესახებაც დეტალურად წერია სამაგისტრო ნაშრომის განმარტების ბარათში.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ აღწერილობით ნაწილში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა საჭიროების შემთხვევა ეხება ისეთ შემთხვევას როცა დოქტორანტის არის ხელმძღვანელი თუ აღნიშნული ასევე გულისხმობს სხვა სიტუაციასაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევა გულისხმობს მაგისტრანტის მიერ შერეული თემის არჩევას და კონსტრუქციების გაანგარიშებას, რომელშიც არის ნაწილი ლითონის კონსტრუქციები, ნაწილი რკინა-ბეტონი და შეიძლება ასევე იყო სპეც ნაწილი, განსაკუთრებით გამოყოფილი დარგი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 17:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში აგნარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა პროგრამის მიზნებისა და შედეგების უკეთ განსაზღვრისათვის;
2. დაზუსტდეს უცხო ენის მიღების წინაპირობა და მაგისტრატურაზე მისაღები ინგლისური ენა განისაზღვროს არა ნაკლებ B2 დონე;
3. რეკომენდებულია პროგრამის მე-10 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.

4. არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ უცხო ენას აბარებს სტუდენტი და არც ამ ენის ცოდნის დონეა მითითბული. რეკომენდებულია ეს ყოველივე აღნიშნულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში;
5. აუცილებელია გასწორდეს აღწერით ნაწილში მითითებული ხარვეზი, ინგლისური ენის სასწავლო კურსებთან მიმართებით;
6. გასწორდეს პროგრამაში არსებული ხარვეზი და სამაგსიტრო ნაშრომის წინაპირობაში მიეთითოს, რომ ნაშრომის დაცვისთვის სავალდებულოა ყველა სასწავლო კომპინენტის (90 კრედიტის) გავლა.
7. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის წავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების <u>ინგლისურიენა</u> <u>B2.1</u> და <u>ინგლისურიენა</u> <u>B2.2</u> სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასების მეთოდები და მათი გასაზომი შეფასების კრიტერიუმები, ასევე რეკომენდირებულია <u>საზოგადოებასთან</u> <u>ურთიერთობების</u> სასწავლო კურსში დეტალურად გაიწეროს დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა. ასევე გასწორდეს შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზები შემდეგ სასწავლო კურსებში: საშენი მასალების სპეცკურსი, ნაგებობათა გამოკვლევა და გამოცდა, სეისმომედეგობა, შრომის უსაფრთხოება;
9. მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა,რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება.
10. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროეტებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება;
11. რეკომენდებულია, უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესორ-მასწავლებლებს სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვის შედეგების შესახებ.
12. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური და ქართული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები და ჩამოყალიბდა მოცემული რედაქტირებით:

1. სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში მითითებულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესახებ ინფორმაცია;
2. სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ;
3. სასურველია, რომ მოდიფიცირდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და მიეცეს ინსტრუქციის სახე, რათა შინაარსით არ გავდეს სასწავლო კურსის სილაბუსს.
4. სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
5. მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორმასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა,რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება.

6. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობასა და გაცვლით პროეტებში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების გაუმჯობესება;
7. მიზანშეწონილია, უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა;
8. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები და რუბრიკები დარგის სპეციფიკის შესაბამისად, გაფორმების ტექნიკური წესები ციტირების სტანდარტის გათვალისწინებით.
9. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასურველია, რომ იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც თავიანთი სწავლის შედეგებით გადიან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე, სტუდენტის შეფასებამ მოიცვას აღნიშნული უნარების შეფასებაც;

საბჭოს გადაწყვეტილებით ამოღებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

2. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში მითითებულ იქნას ციტირების ტექნიკის დეტალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.

საბჭოს გადაწყვეტილებით მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან“;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

2.მეორე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცი ასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
12	კვალიფიკაციის კოდი	0312
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ.1, ქ. თბილისი, 0102, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დიანა მჭედლიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
თვითაცილება განაცხადა - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 18 თებერვალს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც შემდგომში დაისვა 22 თებერვალს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ოთხი წევრის შემადგენლობით 2021 წლის 22 თებერვალს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, რომლის ადმინისტრირებაც

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა უნივერსიტეტის მიერ გაწეული ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების დამადასტურებელი შეჯამებული დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ შესასწავლ პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის მონაცემებს ეხებოდა. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში წარმოადგინა.
დისტანციურ რეჟიმში ექსპერტთა ჯგუფმა მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართუ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 18.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან,პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ პროგრამას ჯერ საკუთარი სტუდენტების კატეგორია არ ჰყავს, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს.
დისტანციურ რეჟიმში ვიზიტის ფარგლებში, ცხადია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) უშუალო დათვალიერება. თუმცა, უნივერსიტეტმა განახორციელა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიდეო უზრუნველყოფა. შედეგად, მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის სინქრონულ რეჟიმში დათვალიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

შპს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია პროგრამის მე-8 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური იყოს. შესაბამისად, პასუხისმგებლობისა და

ავტონომიურობის ნაწილში გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები.
2. საგნების შინაარსიდან და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს წინაპირობის სისტემა, რაც აუცილებელია კონკრეტული საგნის ათვისების კუთხით: აუცილებელია, სასწავლო კურსს „საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიების“ წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“. ასევე „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ განისაზღვროს „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას“ და „საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლების“ წინაპირობად.
3. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობის შესახებ.
4. აუცილებელია, საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია.
5. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები არ იყოს უნიფიცირებული და შესაბამისობაში მოდიოდეს სასწავლო კურსების ინდივიდუალურ მახასიათებლებთან.
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ინგლისურენოვან (ორიგინალ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები.
7.რეკომენდებულია, უსდმ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.
8. რეკომენდებულია, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.
9. რეკომენდებულია , გაიზარდოს ბიბლიოთეკის პერსონალის რაოდენობა, რადგან 2 ადმინისტრაციულ თანამშრომელს გაუჭირდება სრულფასოვანი სერვისის გაწევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მის რჩევად განსაზღვრას ემხრობა. ყველა სილაბუსში არის გაწერილი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები. რუბრიკის დეტალიზებულად და ყოვლისმომცველად გაწერის პრაქტიკა დანერგილია ქართულენოვან პროგრამაშიც. შესაბამისად,უშუალოდ სწავლების დაწყების წინ, ინგლისურენოვანი პროგრამის სილაბუსებშიც მოხდება შეფასების კრიტერიუმების დეტალიზაცია.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, პერიოდულად უტარდება შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისთვის ტრენინგები. დამატებით, აკადემიურ პერსონალს მუდმივად ეგზავნებათ ხარისხის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ესწრებიან ტრენინგებს. აღნიშნული პრაქტიკა კვლავ გრძელდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ლექტორებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდების შესახებ და საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებენ კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით ასევე მოხდება პროგრამის ლექტორებთან კომუნიკაცია და აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება. თუმცა დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი უნდა კვალიფიცირდეს რჩევად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა საკრედიტო საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაცია და დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნულის განსაზღვრა. რაც შეეხება სწავლა სწავლების უნიფიცირებულ სისტემას, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრი ასევე შეეხო რჩევების საკითხს, კერძოდ ,,დიპლომატიურო ეთიკა" ექსპერტების თქმით სავალდებულო სასწავლო კურსად უნდა იყოს განსაზღვრული, შესაბამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ პროგრამა გადიოდეს შედეგებზე, მაშინ რატომ არის ის რჩევის სახით მოცემული. გარდა აღნიშნულისა, რჩევის სახით მოცემულია, რომ უნდა მოხდეს მემორანდუმების რაოდენობის გაზრდა, თუმცა პროგრამის მიხედვით, პრაქტიკა არ ფიქსირდება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთ კვლევაში 48 ნიშნული არ არის რეალისტური და არ წარმოადგენს უშალოდ პროგრამისთვის განსაზღვრულ შრომის ბაზრის კვლევას. რაც შეეხება წინაპირობებს, ლოგიკურია, რომ ,,შესავალი ეკონომიკაში" არის წინაპირობა სასწავლო კურსის ,,შესავალი საერთაშორისო ეკონომიკაში", თუმცა გაუგებარია, რომ ორი საკმაოდ რთული საგანი მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე. ასევე არ აქვს წინაპირობა ,,სტატისტიკური ანალიზის მეთოდების" სასწავლო კურსს, თუმცა მთელი რიგი საკითხები მოითხოვს გარკვეულ ცოდნას უმაღლესი მათემატიკის ელემენტების.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი არის დეტალური და მასში მოცემულია ყველა საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია. თუმცა გაურკვეველია ტერმინი სარეზერვო ფონდი.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართულია სულ 6 აკადემიური და 34 მოწვეული პერსონალი, და ეს თანაფარდობა ბადებს გაუმჯობესების სურვილს, კერძოდ, 6 აკადემიური პერსონალიდან ერთ-ერთი ახორციელებს ფილოლოგიის მიმართულებას-ქართულ ენასა და აკადემიურ წერას, მეორე უძღვება ეკონომიკურ ბლოკს, შესაბამისად რჩება 4 პერსონალი, რომელიც უშუალოდ უძღვება დარს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით, რაც ძალიან ცოტაა პროგრამის მდგრადობისთვის. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი ინსტიტუციას მოკლევადიან პერსპექტივაში მოცემული პრობლემის დროულად აღმოსაფხვრელად.

საბჭოს წევრმა, ელენე *ჟურავლოვამ* დააზუსტა საკითხი შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, თუ რომელი ქვეყნის აპლიკანტებზე აქვს პროგრამას გათვლა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები პროგრამაში გაწერილია ცოდნა უნარებისა და ავტონომიურობის ტერმინებით, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ არის ტერმინები ,,აანალიზებს" და ,,შეუძლია" მოხვედრილი ცოდნის ნაწილში. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ სად და როგორ დასტურდება პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევა უშუალოდ პროგრამისთვის არ არის განხორციელებული, თუმცა ქმნის კარგს წარმოდგენას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ჩატარებული იქნა ცალკე კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოწვეული იყო 5 დამსაქმებელი, რომლებიც არიან სფეროს პირდაპირი წარმომადგენლები. ეს ორგანიზაციები არიან ორი სახელმწიფო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო, ერთი საერთაშორისო, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი და ორი ქართული ორგანიზაცია.

დამსაქმებლებმა შეავსეს დეტალური კითხვარი, რომელიც უშუალოდ პროგრამისთვის იქნა შემუშავებული ხარისხის მართვის დეპარტამენტთან ერთად. დამსაქმებლებმა გაკეთეს დადებითი შეფასებები კურიკულუმის შინაარსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება წინაპირობებს, პროგრამის სტრუქტურა ორგანიზებულია იმგვარად, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში, მოცემულია სავალდებულო საგნები და თავისთავად თუ სტუდენტს აქ აქვს სავალდებულო საგნები დაფარული, ის ვერ იღებს არჩევით საგნებს. ამას გარდა, პროგრამაში უკვე არის *პრერეკვიზიტები* ენების კუთხით, ასევე *პრერეკვიზიტი* აქვს ,,შესავალს ეკონომიკაში“ და ,,პროფესიულ ინგლისურს“. ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, ასევე დაემატება *პრე* რეკვიზიტი, კერძოდ ,,საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი და თეორია“ განისაზღვრება ,,უსაფრთხოების“ *პრე* რეკვიზიტად, ხოლო ,,შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“ განისაზღვრება ,,საარჩევნო სისტემების *პრე* რეკვიზიტად. რაც შეეხება სტატისტიკის დაძლევას, კალკულუსის არ არსებობა რა წარმოადგენს დაბრკოლებას და მსგავსი პრობლემა პროგრამის ფარგლებში არ გამოკვეთილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს სარეზერვო ფონს, რომელიც არსებობს იმისთვის, რომ თუ პროგრამამ ვერ მიიღო სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, მან კვლავ განაგროს ფუნქციონირება ფონდის ხარჯზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას უცხოელი სტუდენტების მხრიდან ძირითადად მომართვიანობა ჰქონია ახლო აღმოსავლეთიდან, ინდოეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. თუმცა პროგრამით ასევე ინტერესდებიან უშუალოდ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ უკრაინაში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.
რაც შეეხება აკადემიური პერსონალის საკითხს, ფაკულტეტს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელს მიხედვითაც, 2023 წლისთვის სკოლამ დამატებით უნდა აიყვანოს 2 სრული დატვირთვის აკადემიური პერსონალი. ჯამში სკოლას ჰყავს 10 აკადემიური პერსონალი. პროგრამაზე წარმოდგენილ აკადემიურ პერსონალს აქვს დოქტორის ხარისხი და სხვადასხვა პუბლიკაციები.
რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე დაწესებულება განახორციელებს პროგრამულ ცვლილებას და ,,დემოკრატია და მოქალაქეობის“ და ,,პოლიტიკური მეცნიერებების შესავლის“ საგნებზე დამატებით, საბაკალავრო ნაშრომის ერთ-ერთ ნიშნული მე-6 სწავლის შედეგიდან გადატანილი იქნება მე-8 სწავლის შედეგში.
მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკის ნაწილი, კერძოდ პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უშუალოდ სასწავლო კურსების კომპონენტების სახით. არის რამდენიმე საგანი, რომლის ფარგლებშიც ხდება პრაქტიკული უნარების ტრანსფერი. დაწესებულებას აქვს საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან, თუმცა აღნიშნული მიმართულებით არ ხდება კონკრეტული კრედიტების მინიჭებას. სტუდენტების დიდი ნაწილი გადის სტაჟირებას სხვადასხვა ორგანიზაციებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა გუნდს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა კრედიტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ყველა საგანი პროგრამის მიხედვით , უნდა ყოფილიყო ხუთ კრედიტიანი, თუმცა სასწავლო კურსები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება და სწორედ ამით იყო განპირობებული აღნიშნული რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარე საბაკალავრო პროგრამაში 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების სისტემა თანაბარზომიერად არის დანერგილი და კარგად მუშაობს ადმინისტრირების და მობილობის მიზნებისთვის. თითოეულ კურსში დეტალურად არის გაწერილი კურსის 125 საათის შესაბამისი სალექციო, სასემინარო, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობის დატვირთვები,

რომელიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. აღნიშნული სისტემა გამართულად მუშაობს და არასდროს დაფიქსირებულა საწინააღმდეგო მოსაზრება სტუდენტების ან ლექტორებისგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული საკრედიტო სისტემის შენარჩუნება ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამიდან შიდა მობილობის ხელშეწყობისა და ასევე,გაცვლით პროგრამებიდან კრედიტების აღიარების კუთხით.

17:53- საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანმა

ექსპერტმა ასევე აღნიშნა ,,დიპლომატიის" სასწავლო კურსი და განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსის გარეშეც პროგრამა გადის სწავლის შედეგებზე. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით.

17:50- საბჭოს სხდომა დატოვა ეკა ნაცვლიშვილმა

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 18:18

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. ,,სტატისტიკური ანალიზის მეთოდების" წინაპირობად განისაზღვოს შესაბამისი დონის მათემატკური დისციპლინა; დაზუსტდეს ,,საერთაშორისო პილიტიკური ეკონომიის საფუძვლების" და ,,მსოფლიო ეკონომიკის" სასწავლო კურსების წინაპირობები.
3. რეკომენდებულია პროგრამის მე-8 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური იყოს. შესაბამისად, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები.
4. საგნების შინაარსიდან და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს წინაპირობის სისტება, რაც აუცილებელია კონკრეტული საგნის ათვისების კუთხით:
5. აუცილებელია,სასწავლო კურსს „საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიების" წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში". ასევე „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი" განისაზღვროს „საერთაშორისო ურთიერთობების თეორისა" და „საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლების" წინაპირობად.
6. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები არ იყოს უნიფიცირებული და შესაბისომაში მოდიოდეს სასწავლო კურსბების ინდივიდუალურ მახასიათებელბთან.
7. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ინგლისურენოვან (ორიგინალ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები.

8. რეკომენდებულია, რომ კავკასიის უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნველყონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები და ჩამოყალიბდა მოცემული რედაქტირებით:

1. სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად.
2. ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი ინგლისურენოვანი პროგრამის შესახებ.
3. „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი" დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსებიდან, სასურველია, გადანაცვლდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურებში. ასევე პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს დიპლომატიური და საკონსულო სამართალი.
4. სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტის სახით;
5. სასურველია, რომ საკითხავ წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთავაზონ აკადემიური სტატიები თანამედროვე ინფორმაციის მისაღებად. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა შესაბამისი თემატიკის მიხედვით არ უნდა იყოს 30 გვერდზე ნაკლები;
6. სასურველია, გაცილებით აქტიურად ხორციელდებოდეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.
7. სასურველია, ინგლისურენოვან სასწავლო კურსებში მიეთითოს მხოლოდ ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა.
8. სასურველია, სასწავლო კურსში „ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები" ბენედიქტ ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოებანი" გახდეს ძირითადი ლიტერატურა.
9. სასურველია, არჩევით უცხო ენებს დაემატოს გერმანული, ფრანგული, ჩინური, იაპონური და სხვა ენები.
10. სასურველია, უსდ-ის ბიბლიოთეკაში სრულად განთავსდეს პროგრამის სასწავლო კურსებში არსებული ყველა სავალდებულო და განახლებული ლიტერატურა.
11. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობისთვის დამატებითი მექანიზმების შემოღება, რათა თუ პროგრამაზე არ ჩაირიცხა მინიმალური კონტიგენტი 12 სტუდენტი უზრუნველყოფი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.
12. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს ინფორმაცია საბაკალვრო ნაშრომის წინაპირობის შესახებ;

13. მიზანშეწონილია, უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ უნარების განვითარებისათვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.
14. მიზანშეწონილია, , გაიზარდოს ბიბლიოთეკის პერსონალის რაოდენობა, რადგან 2 ადმინისტრაციულ თანამშრომელს გაუჭირდება სრულფასოვანი სერვისის გაწევა.

საბჭოს გადაწყვეტილებით ამოღებული იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

1. აუცილებელია, საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი მ პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3.მესამე საკითხი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 08/05/2020, №367135 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება	0912, მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი,0162, გ. წერეთლის N1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის S კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(*ებ*)მა დაადასტურა, რომ *იცნობდ*(*ნენ*)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1) ფაკულტეტმა სათანადოდ უნდა განსაზღვროს საბოლოო სწავლის შედეგები კლინიკურ კურსებში კომუნიკაციის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ. საჭიროა პაციენტებისა და მათი ნათესავების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ურთიერთობა და კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება. ადაპტირებული ჩარჩო აცნობებს ჩარიცხულ სტუდენტებს თუ რას მოელიან მათგან - ამგვარად, აუცილებელია საკომუნიკაციო უნარების კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც უნდა აითვისონ სტუდენტებმა წინასწარ დადგენილ ვადებში და სასწავლო პროგრამის დასასრულისათვის;

2) მეტი ყურადღება დაეთმოს ქართული ენის სწავლებას და კომუნიკაციას ქართულ ენაზე;

3) საჭიროა კლინიკური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია კლინიკურ სწავლებაში. ეს გაზრდა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვის რეგულირებისა და მომავალ წლებში სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით ამ თვალსაზრისით, დატვირთვის მინიმუმის, აკადემიური კვალიფიკაციების, კომპეტენციების რეგულირება კურსებთან მიმართებაში, ასევე, უნდა იყოს განსაზღვრული და დადგენილი კლინიკური პედაგოგიური პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის;

4) ცალკე უნდა დადგინდეს კლინიკურ მენტორებად წამოყენებისა და მათი კვალიფიკაციების წესები;

5) დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 6 წლის განმავლობაში აფილირებულ ხელმძღვანელთა (შესაბამისი ხელშეკრულების მქონე პროფესორთა) საჭირო რაოდენობა;
6) *პრე*-კლინიკური სიმულაციური პრაქტიკა მისაღებია, თუმცა კლინიკურ კურსებში სტუდენტთათვის რეალური კლინიკური შემთხვევებისადმი ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და საწოლთან პრაქტიკული სწავლების დრო მკაფიოდ განსაზღვრული;
7) კონკრეტულ კურსებს ან საგნებს შორის გადაფარვა თუ დუბლირება ყურადღებით უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში ჩასწორდეს;
8) პრაქტიკული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რომელსაც გააჩნია საკმარისი გამოცდილება და შეუძლია გაუზიაროს უნარები და ცოდნა სხვებს. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დაფიქსირებული პირად ჩანაწერებში;
9) პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, ისევე როგორც სამედიცინო განათლების ინტეგრირება მთლიანად ინსტიტუტისა და ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესები და საფაკულტეტო წესები ან გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო ერთეულებს შორის სახსრების შიდა განაწილების თაობაზე.

რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა:

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადისა და წესის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციიდან დაახლოებით 8 თვის შემდეგ 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ანგარიშში უნივერსიტეტის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესი: კერძოდ, სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდა პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილე და სპეციალისტი. აგრეთვე განხილულია სამუშაო ჯგუფის მიერ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო პროცესების დაგეგმვა. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულდა, მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ასევე გაზიარებულია არის მეტწილად განხორციელებული ამ ეტაპზე. კერძოდ: კლინიკურ სპეციალობებში კონკურსი გამოცხადებულია და მომავალშიც გამოცხადდება საჭიროების შესაბამისად. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშში რჩევები ცალკე გამოყოფილი არ არის და შეფასება რამდენად მოხდა უნივერსიტეტის მიერ მათი გათვალისწინება შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რჩევები არასავალდებულო ხასიათისაა და უნივერსიტეტს შეეძლო არ გაეთვალისწინებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მეტწილად არის განხორციელებული, რადგან აღნიშნული სამომავლო პერსპექტივაში იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე დაწესებულებას კლინიკური მიმართულებით საერთოს არ ჰყავს აფილირებული აკადემიური პერსონალი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა არის ახალი, შემდეგი რამდენიმე სემესტრი ინტენსიური კლინიკური დატვირთვა არ იქნება. დაწესებულება კიდევ გეგმავს ორი აკადემიური კონკურსის გამოცხადებას.
რაც შეეხება რჩევებს, მათი უმეტესობა მთლიანად იქნა გაზიარებული დაწესებულების მიერ და რამდენიმე მათგანი უკვე შესრულებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ ისაუბრა ,,*ანესთეზიოლოგიისა* და რეანიმაციის: სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ კურსის მიხედვით, უნარების ათვისებაში მოცემულია, ფილტვების ხელოვნური *რენტილაცია*, *პლაზმაფერეზი*, *ჰემასორბცია*, ჰემოდიალიზი, რაც ფასდება ორჯერ, ასევე *პარენთელრალური* კვება ფასდება ორჯერ. აღნიშნულ აქტივობები მოითხოვს საკმაოდ ხანგრძლივს სწავლებას და გარდა ამისა მოცემული კვალიფიკაციის მიხედვითაც არ არის სავალდებულო.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქტივობები ხორციელდება სიმულაციურად. აქტივობები ძირითადად დაკავშირებულია აპარატის მართვასთან და არა პაციენტთან.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ 10 კრედიტი არის კლინიკური უნარების ათვისება კლინიკური სიმულაციის ლაბორატორიაში. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა განაწილებული აქტივობები ისე, რომ სტუდენტი აუცილებელ უნარებს ითვისებდეს კლინიკური სიმულაციების ლაბორატორიაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, კურიკულუმში მოცემულია სამი კურსი, კლინიკური უნარები 1, კლინიკური უნარები 2, კლინიკური უნარები 3, რომლებიც მთლიანად ხორციელდება სიმულაციურ გარემოში და დაფუძნებულია პრაქტიკულ უნარებზე. აღნიშნულ აქტივობასთან ერთად ასევე *გათვალისიწნებულია* დიაგნოსტიკის საფუძვლების ნაწილიც. აღნიშნული გათვალისწინებულია 12 კრედიტის ფარგლებში.
დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 19:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

1. **(სტანდარტი 2.3).** დიპლომამდელი სამედიცინო განათლების კომპეტენციებთან შესაბამისად განისაზღვროს კლინიკური უნარ-ჩვევები, რომლებსაც უნდა დაეუფლონ სტუდენტები სწავლების აღნიშნულ საფეხურზე (მაგ. „ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგიის სილაბუსი“, სადაც ასათვისებელ უნარებში ჩამოთვლილია ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, პლაზმაფერეზი, ჰემაბსორბცია, ჰემოდიალიზი, რაც არ არის გათვალისწინებული დიპლომამდელი სწავლების ეტაპზე).

1. **(სტანდარტი 4.1.).** სწავლების კლინიკურ ეტაპზე დაზუსტდეს სტუდენტების და კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის თანაფარდობა.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	პროგრამა აკრედიტებულია 26/06/2020, № 525925 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	სოციალური მუშაობა და კონსულტაცია, 0923
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვთაცილება განაცხდა- ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(*ებ*)მა დაადასტურა, რომ *იცნობდ*(*ნენ*)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩაიწეროს მკაფიოდ, რომ ხუთწლიანი გამოცდილების ქონა სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით არის სავალდებულო წინაპირობა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის, როდესაც საქმე ეხება აპლიკანტებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში
2. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ზოგიერთი კურსის სილაბუსის რევიზია, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი) და გ) სტატისტიკური მოდელირება (სავალდებულო-არჩევითი). სავალდებულო-არჩევითმა კურსებმა არ უნდა გაიმეოროს ძირითადი მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) აღწერა, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს მონაცემთა ანალიზის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლაზე;

რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა:
სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:
სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობის ფორმულირება შეიცვალა შემდეგნაირად: „ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაში/სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში და არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში.“
დაკორექტირდა ორი სილაბუსი: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი). კერძოდ: თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსში შევიდა შემდეგი ცვლილებები: თვისებრივი კვლევის მეთოდებს შეეცვალა სახელი და გახდა „თვისებრივ მონაცემთა ანალიზი“, მოხდა კურსის მიზნის იმგვარად ფორმულირება, რომ წინა პლანზე ყოფილიყო წამოწეული თვისებრივი კვლევის დიზაინის გამოყენებისა და შეგროვებული მონაცემების ანალიზის უნარები.
ძირითადი თემების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა თვისებრივი მეთოდების სხვადასხვა მიდგომა, მათი შეზღუდვები და უპირატესობები; დარედაქტირდა მეორე და მესამე კვირების სალექციო თემები იმგვარად, რათა გამოკვეთილიყო მისი განსხვავება სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდების კურსისგან.
სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები კურსის სილაბუსში შევიდა შემდეგი ცვლილება: სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდების სილაბუსში მეათე ლექციის თემატიკაში ნახსენები ტერმინი “რეგრესიული ანალიზი” იქნა ამოღებული და დარჩა მხოლოდ “ფაქტორული ანალიზი”. ამით გამყარდა განსხვავება ამ კურსსა და დანარჩენი ორი კურსის სილაბუსებს შორის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:19
დასრულების დრო: 19:21

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ დახურულად გამოცხადდა 2021 წლის06 აპრილს 19:22 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ